საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1253 2016 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

„გოდერძის უღელტეხილზე სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარების მიზნით გასატარებელი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის №2054 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „გოდერძის უღელტეხილზე სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარების მიზნით გასატარებელი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის №2054 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „აჭარაში ტურიზმის განვითარების მიზნით ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ივლისის №705 განკარგულების საფუძველზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სათხილამურო ტურიზმის განვითარების მიზნით, გოდერძის უღელტეხილზე სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარებისა და თანამედროვე სტანდარტების სათხილამურო კომპლექსის მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გამოყოფილი 8 000 000 (რვა მილიონი) ლარიდან 700 000 (შვიდასი ათასი) ლარი შპს „Goderdzi Resorts“-ის მიერ მიმართულ იქნეს შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიისთვის“, გოდერძის უღელტეხილზე სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარების მიზნით.“.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი